სსიპ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს

თავმჯდომარის

ბრძანება

№ 01-05-02 13 / 02 /2020

სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს ემბლემის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 სექტემბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს ემბლემა დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ნატალია მოწონელიძე

პ. ინგოროყვას ქ. # 7, თბილისი 0114, საქართველო
ტელ: (995 32) 2 99 09 00 (23 99)

P. Ingorokva str. # 7, Tbilisi 0114, Georgia
Tel: (995 32) 2 99 09 00 (23 99)

დანართი

სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს ემბლემა

აღწერილობა:

მარცხენა მხარეს გამოსახულია თეთრი ფერის გრაგნილი. მასზე დატანილი დროშის ფორმა და პანტონი წითელი ფერი სრულად აკმაყოფილებს ჰერალდიკის ნორმებს. მარჯვენა მხარეს გამოსახულია ამავე ფორმის მუქი ლურჯი ფერის გრაგნილი. იდენტურ ფიგურათა ამგვარი განლაგება გამოხატავს შეთანხმებას. მათი ინდივიდუალობა კი გამოხატულია ფერთა სხვადასხვაობით.